This page is safe

KA021757663558717

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა 10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/27520 **06 / ივნისი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

თქვენი 2017 წლის 15 მაისის N01/30521 (სააგენტოს რეგ. N40561/04) წერილის პასუხად შეგახსენებთ, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების შპს „ალიანს მედისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N2659 განკარგულების (შემდგომში - განკარგულება) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ამ განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების (მათ შორის სამეანო და ნეონატოლოგიური (დანართი N2-ის მე-2 პუნქტი) და სამეანო - გინეკოლოგიური პროფილის მომსახურება (დანართიN2-ის მე-4 პუნქტი)) მიწოდების უზრუნველყოფას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან (30.12.2016წ.) არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში და ამავე სერვისების მიწოდების უწყვეტად შენარჩუნება განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე. აღნიშნული საპრივატიზებო პირობა ასევე აისახა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ალიანს მედს“ (ს.კ. 405108477) შორის 2016 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება). შესაბამისად, ქარელში (ს.კ 68.10.45.028) სამედიცინო ცენტრის შექმნამდე შპს „ალიანს მედის“ მიერ გარკვეული სამედიცინო სერვისების მიწოდების ვალდებულების ცვლილება თქვენი 2017 წლის 15 მაისის N01/30521 (სააგენტოს რეგ. N40561/04) წერილის დანართში მოცემული შინაარსით საჭიროებს საქართველოს მთავრობის მიერ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის თანახმად შესაბამისი ცვლილების შეტანას განკარგულებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, გვაცნობოთ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსაზრება კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

This page is safe

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური